ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ნათელა იღურიძე ერთ-ერთ მოწინავე მეფრინველედ ითვლება გორის რაიონში. იგი მუშაობს სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობის ფერმაში და მაღალი მაჩვენებლებიც აქვს. მასთან სულ უფრო ხშირად მიდიან რჩევისათვის. ნათელას თუმცა ბევრი საქმე აქვს, მაგრამ მაინც პოულობს დროს დახმარებისათვის. წელს ნათელამ გეგმით სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 35 ათასი კვერცხი. წლის დამლევამდე კიდევ ბევრი დროა დარჩენილი, მაგრამ მოწინავე მეფრინველემ უკვე 40 ათას ცალზე მეტი კვერცხი ჩააბარა.

სურათზე: მოწინავე მეფრინველე ნათელა იღურიძე.

*საქდესის ფოტოქრონიკა*

# შვიდწლედის გმირები



მატროსმა ვაჟა ქიქავამ თავი ისახელა როგორც ბათუმის თევზის კომბინატის მამაცმა მებადურმა. თავის მეგობრებთან ერთად ვაჟა ზღვაში სათევზაოდ გადის ყოველგვარ ამინდში და ჩინებულ თევზს იჭერს.

სურათზე: მატროსი ვაჟა ქიქავა.

საქტესის ფოტოქრონიკა




დიდი ხანი არ არის, რაც დემური გვასალიამ მუშაობა დაიწყო ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხანაში. აქ იგი დაეუფლა ხარატის პროფესიას, აქვე მიიღეს ლენინური კომკავშირის წევრად.

წარმოებაში ჩინებულ მუშაობას იგი უთავსებს სპორტში ვარჯიშსა და მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლას.

სურათზე: დ. გვასალია.

საქლესის ფოტოქრონიკა

## შვიდწლედის გმირები



ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობა „საქართველო" მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობაა. არტელში წამყვანი კულტურაა ჩაი. წელს კოლმეურნეობამ გეგმით უნდა ჩააბაროს 1700 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი. მეურნეობის მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 1100 ტონაზე მეტი ჩაი. ჩინებული შედეგები აქვს ახალგაზრდა მკრეფავს, კომკავშირელ მინუსი ჯანაშიას.

სურათზე: მოწინავე მკრეფავი მინუსი ჯანაშია.

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ნახევარ ჰექტარ ვენახში ხუთ, ექვს, ზოგჯერ შვიდ ტონა ყურძენს კრეფს ყვარლის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილი მევენახე პავლე ბასილაშვილი. შარშან მან პრემიის სახით მიიღო 12 ცენტნერი ყურძენი. წელს მოწინავე მევენახე კიდევ უფრო მეტი მოსავლის მოწევას გვპირდება.

სურათზე: პავლე ბასილაშვილი ვენახში.

*საქლესის ფოტოქრონიკა*




თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში პირველად შეიქმნა და ცდიან დაპროგრამებული მართვის ჩარხს. საკმარისია ჩარხის კასეტში ჩადოთ დაშიფრული დავალების პორფირებული ლენტი, რომ დაიწყება საჭირო დეტალის დამუშავება. ლენტზე შეიძლება ერთდროულად ჩაიწეროს 17 ოპერაცია. აგრეგატის ყველა მექანიზმის მართვა ავტომატიზებულია.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) მანქანათმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს წამყვანი კონსტრუქტორი ა. პულუზაშვილი, ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი ი. ქურდაძე თვალს ადევნებენ ჩარხის მუშაობას.

საქტესის ფოტოქრონიკა

# შვიდწლედის გმირები



„მთავართბილმშენის" № 19 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) თევდორე ხაბალაევი, ზურაბ ცინცაძე, ჯემალ ვალიევი, სარდიონ ისმაილაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნატალია სოკოლოვა, გენადი კახაბერიშვილი და ბრიგადირი შოთა ჩხუტიაშვილი.

საქტესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ანაკლიის მეკამეჩეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მიწებზე კვლავ გრძელდება ჭაობების ამოშრობა. საბჭოთა მეურნეობა აფართოებს თავის სამფლობელოებს. დიდ ფართობებზე წარმოებს საშრობი სამუშაოები-შენდება მაგისტრალური და შემკრები არხები. ამ სამუშაოებში თავი ისახელა ესკავატორის მოწინავე მემანქანემ ნოდარ სიჭინავამ.

სურათზე: ნოდარ სიჭინავა.

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ძია ნიკოლოზ—ასე ეძახის ახალგაზრდობა ქუთაისის კაბელის ქარხნის ამწყობ ზეინკალს ნიკოლოზ რუხაძეს. ორმოცი წელია იგი თავდადებით შრომობს, ბევრ ქალიშვილსა და ჭაბუკს მისცა მან ამ წლების მანძილზე დიდი ცხოვრების საგზური. შრომის ვეტერანი კვლავ განაგრძობს ახალგაზრდა ოსტატების აღზრდას, სიამოვნებით უზიარებს მათ თავის დიდ გამოცდილებასა და ცოდნას.

სურათზე: ნ. რუხაძე.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



მანგანუმის ხარისხის განსაზღვრას სრულყოფილად დაეუფლა წარმოების ახალგაზრდა მუშაკი კომკავშირელი ნანი აბჟანდაძე. იგი ჭიათურის ცენტრალურ საბოლოოდ გადასამუშავებელ ფაბრიკაში მუშაობს. ნანი არა მარტო ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას, არამედ ამასთანავე წარმატებით სწავლობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

სურათზე: ნანი აბჟანდაძე.

საქდესის ფოტოქრონიკა




სამი წლის წინათ მოვიდა იზოლდა გულულაშვილი საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში. ახალგაზრდა მეფრინველეს არ ჰქონდა გამოცდილება, მაგრამ ძალიან სურდა ემუშავა მშობლიურ კოლმეურნეობაში. ერთ წელიწადში იგი ფერმის მოწინავე მუშაკთა რიგებში ჩადგა. წელს იზოლდას 2 ათასი ფრთა ფრინველი ჰყავს. ახალგაზრდა მეფრინველემ გადაწყვიტა თითოეულ მოქცეულ ქათამზე მიიღოს საშუალოდ 90 ცალი კვერცხი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ცალისა.

სურათზე: საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის მოწინავე მეფრინველე იზოლდა გულულაშვილი.

*საქდესის ფოტოქრონიკა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ეს შავგვრემანი და შავთვალა გოგონა ნორა გოგოხიაა. იგი გალის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა „მზიურში“ ახალგაზრდულ ბრიგადას ხელმძღვანელობს.

დილიდან დაღამებამდე შრომობს ნორა ტოლებთან ერთად ზურმუხტოვან პლანტაციებში. ბრიგადაში 25 წევრია. ამას წინათ ამ ერთსულოვან კოლექტივს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება.

სურათზე: ნორა გოგოხია.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვიდწლედის გმირები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ბახტაძე ტყვარჩელის შახტ-ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო ჩქაროსანი გვირაბგამყვანია. მდიდარ სამთო ტექნიკას—თვითმავალ დასატვირთ მანქანებს, ტრანსპორტიორებს მართავენ გვირაბგამყვანები, რომლებსაც ნ. ბახტაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში სანიმუშოდ მაღალი შრომის ნაყოფიერებაა.

სურათზე: გვირაბგამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე.

*საქდესის ფოტოქრონიკა*




შუშანა ქალდანი მესტიის რაიონის სოფელ ადიშის კოლმეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწველავია. შუშანას როდი ჩამორჩებიან მისი მეგობრები მეათეკლასელი დაშა ავალიანი და მეცხრე-კლასელი დაურხან ქალდანი. მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ისინი მეცხოველეობის ფერმაში მუ-შაობენ და ჩინებული შედეგები აქვთ.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მოწინავე მწველავები შ. ქალდანი, დ. ქალდანი და დ. ავალიანი.

საქტესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ნარგიზა სამუშიამ არდადეგებზე მოკრიფა 4.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, იმდენი, რამდენსაც სეზონის განმავლობაში კრეფენ მოწინავე მკრეფავები.

სურათზე: ნარგიზა სამუშია.

საქლესის ფოტოქრონიკა

# შვიდწლედის გმირები



ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ პირველი ადგილი დაიკავოს რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს შორის. ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. საწარმოს მუშებმა და მოსამსახურეებმა ვალდებულება იკისრეს პროდუქციის თვითღირებულება 50—60 ათასი მანეთით შეამცირონ და სახელმწიფოს მისცენ 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

სურათზე: უფროსი ტიტესტერი თ. ლომაია და საამქროს უფროსი ა. გოლავა ამოწმებენ მორიგი პარტიის მზა პროდუქციის ხარისხს.

საქლესეს ფოტოქრონიკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში თავთავიანი კულტურების მკაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა მოწინავე კომბაინერმა სერგი ხუბაევმა.

სურათზე: პიონერები კაზბეკ ჯიოევი და ლორა თიბილოვა წყალს აწვდიან კომბაინერ სერგი ხუბაევს.

*საქტესის ფოტოქრონიკა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ხობის დაფნის კომბინატი ყველაზე დიდი კომბინატია რესპუბლიკაში. შარშან კომბინატმა დააფასოა და დაახარისხა 900 ტონა დაფნის ფოთოლი. წელს უკვე გადამუშავებულია 800 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 730 ტონისა. წლის ბოლომდე კომბინატი კიდევ 150 ტონა დაფნის ფოთოლს გადაამუშავებს.

სურათზე: კომბინატის მოწინავე მუშები ნორა რუსია (მარცხნივ) და მიმოზა ცხირია გასაგზავნად ამზადებენ დაფასოებულ ფოთოლს.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



მეფუტკრეობისა და მებაღეობის ერფურტის მსოფლიო გამოფენაზე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ქართული რუხი მთის ფუტკარი დაჯილდოებულია დიდი ოქროს მედლით. ამ ფუტკრის სამშობლოა ხობისწყლის ხეობა. აქ მოწყობილია მუხურის მეფუტკრეობის საშენი, რომელშიც ახლა 2 ათასზე მეტი ფუტკრის სკაა. კომკავშირელი ზაირა გახარია აქ სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მეფუტკრედ.

სურათზე: ზაირა გახარია.

საქდესის ფოტოქრონიკა

# ხუთწლედის გმირები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ათობით ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" მუშაობს აფხაზეთის ჩაის პლანტაციებში. წელს ამ გონიერი მანქანის საჭეს მიუჯდა პირველი აფხაზი გოგონა, ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ბაბუცა ანთია. იგი ჩინებულად მართავს მანქანას და ახლა თავის მეგობრებთან ერთად საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში ყოველდღიურად კრეფს ასობით კილოგრამ პირველხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

სურათზე: ბაბუცა ანთია.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვიდწლედის გმირები



რესპუბლიკაში მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარება. ჩინებული წარმატებები აქვთ ქობულეთელ მეაბრეშუმეებს, რომლებიც წელს სახელმწიფოს ჩააბარებენ 40 ტონამდე პარკს. განსაკუთრებით კარგი შედეგები მოიპოვა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნემ კომკავშირელმა სურიე ნანიკაძემ. მან სახელმწიფოს ჩააბარა 110 კილოგრამი აბრეშუმის პარკი—ერთიორად მეტი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული.

სურათზე: მოწინავე მეაბრეშუმე ს. ნანიკაძე.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




აკაკი ხარაზიშვილი ხაშურის რაიონის სოფელ ფლევის კოლმეურნეობა „შრომის" ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორია. მან ვალდებულება იკისრა კომბაინით 200 ჰექტარ ფართობზე მომკას თავთავიანი კულტურები. ეს ბევრად ჭარბობს გეგმას.

სურათზე: მოწინავე მექანიზატორი აკაკი ხარაზიშვილი.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ჩინებული სიმინდი მწიფდება ხობის რაიონის სოფელ ხეთის მოხუცი კოლმეურნის ჩახი ფურავას ნაკვეთზე. როდესაც მის ნაკვეთზე სიმინდს ათვალიერებთ, ეჭვი არ გეპარებათ, რომ ჩახი ფურავა ღირსეულად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. მოხუცმა კოლმეურნემ გადაწყვიტა მასზე გაპიროვნებულ 0,7 ჰექტარზე მოიწიოს სულ ცოტა 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

სურათზე: ჩახი ფურავა თავის ნაკვეთზე.

საქტაგის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვიდწლედის გმირები



ქუთაის—მესტიის საჰაერო ტრასა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძნელესი ტრასაა. მფრინავებს უხდებათ გზის გაკაფვა მთის მწვერვალებზე ხშირ ღრუბლებში. გარდა ვაჟკაცობისა, ამ ტრასის დასაძლევად საჭიროა კარგად იცნობდე მთებს. ყოველივე ეს თვისება აქვთ ხომალდის მეთაურს ნოდარ ხრიკაძესა და მეორე პილოტს რობინზონ უდესიანს. ჩინებული მაჩვენებლებისათვის მათ მიენიჭათ კომუნისტური შრომის ეკიპაჟის საპატიო წოდება.

სურათზე: ნოდარ ხრიკაძე (მარცხნივ) და რობინზონ უდესიანი.

საქდესის ფოტოქრონიკა




ახლა გახურებული მუშაობაა სარიდი არხის მშენებლობაზე. ამ არხით მდინარე ენგურის წყალს ზღვისაკენ მიუშვებენ მას შემდეგ, რაც წყალი გაივლის საქართველოში უდიდესი ენგურის ჰიდრო-ელექტროსადგურის ტურბინებს.

შესანიშნავი ადამიანები მუშაობენ მშენებლობაზე. მოწინავე მშენებლები ბორის ლობჟანია მიწასაწოვი მანქანის მილების დამონტაჟებაზე ყველა სამუშაოს ჩინებულად ასრულებს.

სურათზე: მოწინავე მემონტაჟე ბ. ლობჟანია.

*საქდესის ფოტოქრონიკა*

ეროვნული ბიბლიოთეკა